1938

კალეიდოსკოპი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1938 წ

№6

პროლეტარიელნო ყველანი ერთმანეთისა, შეერთდით!

კალეიდოსკოპი

ᲧᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲪᲐᲛᲔᲢᲔ

ᲡᲐᲥ. ᲐᲚᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ
ᲡᲐᲥ. ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲙᲝᲛᲘᲡ ᲔᲠᲗᲗᲘᲐᲜᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 1938 Წ. № 6

საქ. სსრ. ცაკის გამომც.—„კომუნისტი". რედაქციის მისამართი თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34, ტელ.—3—02—61

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

		გვ.
1.	**ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲟᲚᲔᲜᲢᲘ**, — თორმეტი ივნისი (ლექსი)	1
2.	**ᲗᲣᲠᲛᲐᲜ ᲨᲐᲜᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**, — მაქსიმ გორკი (წერილი)	2
3.	**ᲛᲐᲥᲡᲘᲛ ᲒᲝᲠᲙᲘ**, — ქურდი (მოთხრობა, თარგმანი შ. თაბუკაშვილისა)	3
4.	**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲥᲣᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ**, — შეხვედრა გორკისთან (ლექსი)	5
5.	**ᲡᲘᲛᲝᲜ ᲬᲕᲔᲠᲐᲕᲐ**, — გიგლას უბედურება (მოთხრობა)	6
6.	**ᲚᲐᲓᲝ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ**, — სიმღერა (ლექსი)	8
7.	**ნ-ᲚᲘ**, — ჯამბული (ნარკვევი)	9
8.	**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲭᲐᲮᲘᲫᲔ**, — დასჯილი (ლექსი)	10
9.	**ᲨᲐᲚᲕᲐ ᲛᲐᲠᲘᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ**, — ვერაგი დამპყრობელი (მოთხრობა)	11
10.	**ᲕᲚ. ᲙᲐᲮᲘᲐᲜᲘ**, — გველისმჭამელი ფრინველები (წერილი)	15
11.	**ᲔᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ**, — ადამიანი ოკეანის უფსკრულში (წერილი)	16
12.	გასართობი	გარეკანის მე-4 გვ.

გარეკანზე — ა. მ. გორკი და მისი შვილიშვილები მართა და დარია

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ გაფორმებულია მხატვარ—ი. ᲥᲝᲥᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, დონის და გ. ᲙᲐᲮᲘᲫᲘᲡ მიერ

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ—ᲔᲚ. ᲐᲒᲚᲐᲫᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ—ნ. ᲡᲘᲠᲑᲘᲚᲐᲫᲔ

მთავლიტი 870 შეკვ. № 556 ტირაჟი 7.000 სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძზე ბურთივით ამოგორდა,
ცამ გაიხსნა მკერდის ღილი,
მთაწმინდიდან ელვარება
გადმოეფრქვა უხვად თბილისს.

☆

3380

ბაღში ბუჩქიც წამოზრდილი
შეირხა და იწყებს შრიალს,
ევავილებმა თითქოს მორცხვად
გაულიმეს დილის ნიავს.

☆

და მოედვა ეოველ უბანს
ვაჟკაცური ხმა და ძალა...
ეს რა დილა გაუთენდა
ამ ჩვენს ტურფა დედაქალაქს!

☆

ბრწყინავს ცა და ბრწყინავს მიწა,
სიხარულით ბრწყინავს თვალიც...
საქართველოს სიამაყედ
დღეს ავირჩევთ ჩვენს დიდ სტალინს!

მახარებს და გრძნობას მმატებს
ძზე ჩირაღდნად ამოსული...
ახალ ჭანგზე ახმატკბილდა
მეთვრამეტე გაზაფხული.

☆

ახმატკბილდა... და ხმას მისცემს
ხალხი თავის ნდობა-სურვილს,
ვინც ცხოვრებამ გმირად ზარდა,
მას ირჩევს და მასვე უვლის.

☆

ხალხი ნათელ შუქმოსილი
დღეს ღიმილით დგება ეუთთან,
მღერის ლაღად მხრებგაშლილი
და სიცოცხლით ხარბად სუნთქავს.

☆

ძზე ბურთივით ამოგორდა,
ცამ გაიხსნა მკერდის ღილი,
მთაწმინდიდან ელვარება
გადმოეფრქვა უხვად თბილისს...

თურმან შანშიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქსიმ გორკი

(გარდაცვალებიდან 2 წლისთავის შესრულების გამო)



ორი წლის წინათ ჩვენს საყვარელ სამშობლოს ხალხის უბოროტესმა მტრებმა ხელიდან გამოსტაცეს XX საუკუნის უდიდესი რუსი მწერალი მაქსიმ გორკი.

გორკის სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენი პარტიის გმირული ბრძოლის ისტორიასთან. ის მუდამ, სიტყვით თუ საქმით, ბოლშევიკური პარტიის რიგებში იდგა.

მუშის ოჯახიდან გამოსულმა გორკიმ უკუღმართი ცხოვრების დახლართული გზა გაიარა. 1873 წელს მამა მოუკვდა, 5 წლის ბავშვი დედის ანაბარა დარჩა; დედაც მალე გარდაეცვალა. პატარა ალიოშა იძულებული იყო ლუკმაპურზე თვითონ ეზრუნა. ვინ მოსთვლის, სად არ იყო და ვისთან არ მუშაობდა: მეჩექმესთან, მხაზავთან, მეხატესთან, გემის მზარეულთან, მებაღეესთან, მეფუნთუშესთან, ხოლო როცა წამოიზარდა, მუშაობდა ნავსადგურის დღიურ მუშად, ღამის დარაჯად, ბურახის გამყიდველად. მან ძველი ცხოვრების ყოველგვარი სიმწარე იგემა, ყოველი ბნელი კუნჭული გასინჯა, საკუთარი ზურგით გადაიტანა წარსული მონური ცხოვრების აუტანელი სიმძიმე და შემდეგ შემოვიდა ლიტერატურაში. ამიტომაა, რომ გორკის ნაწარმოებებში ყველაზე კარგად აისახა მშრომელთა დაბალი ფენების გაუგონარი დამცირება, აუტანელი ექსპლოატაცია და დუხჭირი ცხოვრება.

დაუვიწყარია გორკის ძლიერი მხატვრული სახეებით დახატული „კლიმ სამგინის ცხოვრება“, „თომა გორდეევი“, „დედა“, „ფსკერზე“, რევოლუციური ბრძოლის მომასწავებელი ჰიმნი „ქარიშხალა“ და სხვა მრავალი, რომელიც მშრომელთა ფენებში ზიზღსა და ბრძოლის წყურვილს აღვივებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

გორკიმ ბევრი რამ გააკეთა პროლეტარიატისა და რევოლუციისათვის. 1905 წლის დეკემბრის აჯანყების დროს, მოსკოვში, გორკი აქტიურ მონაწილეობას იღებს აჯანყებულთა შეიარაღების საქმეში. იგი ერთერთი ორგანიზატორია ბოლშევიკების ლეგალური ორგანოს „ახალი ცხოვრებისა“, რომელიც მეფის მთავრობამ მალე აკრძალა.

1907 წელს ლონდონში, პარტიის V ყრილობაზე, გორკიმ პირველად იხილა ლენინი, ჩაუკვირდა მის მსჯელობის რკინისებურ ლოგიკას, უმაგალითო შეუპოვრობას და თავდადებულ ბრძოლას იდეისათვის. გორკი დარწმუნდა, თუ ამ რკინისებური ადამიანის მგზნებარე კამათში, რომელიც მიმართული იყო მენშევიკების წინააღმდეგ, რამდენი სიმტკიცე, დიდბუნებრივობა და ისტორიული სიმართლე იყო; ამიტომ დაუახლოვდა ლენინს, შეიყვარა და მისი განუყრელი მეგობარი გახდა. ლენინი ხშირი სტუმარი იყო გორკისა, როცა ეს უკანასკნელი იტალიაში კუნძულ კაპრზე ცხოვრობდა. აქ ლენინი და გორკი საუბრობდნენ ბრწყინვალე მომავალზე, თავიანთი საყვარელი სამშობლოს — რუსეთის თვითმპყრობელობის უღლიდან განთავისუფლებაზე.

ლენინი გორკის მიმართ დიდ მზრუნველობას იჩენდა.

სტალინისა და გორკის ურთიერთობა, მეგობრობის საუკეთესო ნიმუშია.

გორკი სტალინში ხედავდა ძლიერ ადამიანს და სწამდა, რომ მხოლოდ მას შეეძლო დიდი ლენინის შეცვლა. გორკი ხშირად ესაუბრებოდა სტალინს განზრახულ მომავალ ნაწარმოებზე და გულდასმით ისმენდა სტალინის ბრძნულ მითითებებს.

ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლის შესრულების გამო სტალინი სწერდა გორკის:

„ძვირფასო ალექსი მაქსიმეს-ძევ!

გისურვებ მრავალი წლის სიცოცხლეს და მუშაობას ყველა მშრომელის სასიხარულოდ, მუშათა კლასის მტრების ზარდასაცემად“.

მაქსიმ გორკიმ მთელი თავისი შემოქმედებით და ბრწყინვალე სიცოცხლით გაამართლა ბელადის ეს სიტყვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი

ა. მ. გორკის მოთხრობა „ჟურნალი“ დაიბეჭდა ბაზეთ „ნიჟეგოროდსკი ლისტოკის“ № 16-ში 1896 წელს ფსევდონიმით „ვილაც“. ეს მოთხრობა გორკის თხზულებათა კრებულში არ შესულა.

ვიდი წლის ბიჭუნა უკვე დიდი ხანია უტრიალებდა სხვადასხვა წვრილმანით—სავარცხლებით, ჯაგრულებით, საპნით, პორტმონეთი—მოვაჭრის ფარდულს. ვაჭარს არ ეცალა, მას საფულეს ევაჭრებოდა ორი ახალგაზრდა, რომლებიც დაღონებული სახით ათვალიერებდნენ ნივთს. ისინი უნდობლად ისმენდნენ ვაჭრის დამაჯერებელ ლაპარაკს, რიგრიგობით ხან საფულის საკეტს უჩხიკინებდნენ თითს, ხან ცხვირთან მიიტანდნენ მას, სინათლეზე სინჯავდნენ, მერე ფარდულზე დებდნენ და მტკიცედ ამბობდნენ:

— ორი აბაზი.

ისინი როგორღაც ბაძავდნენ ერთმანეთს—ერთი დაწვრილებით იმეორებდა მეორის მოძრაობასა და მის ყოველგვარ მანჭვას.

აღშფოთებული ვაჭარი ეუბნებოდა მათ:

— ორი აბაზი. ეხ, თქვენ კი რა გითხრათ! მე თვითონ სამი აბაზი მიზის. ჰო, მოიცათ,—აჩერებდა მათ.— თერთმეტი შაური, გინდათ?

— ორი აბაზი, — მონოტონურად იმეორებდნენ მუშტრები. და ხელახლა იწყებოდა ვაჭრობა.

თუმცა საქმით იყო ვაჭარი გართული,—მაღალი წითური კაცი ცბიერი თვალებითა და მჭიდე თითებით, რომლებზედაც სქლად ამოსვლოდა ბალანი, — ის ცალი თვალით დაჟინებით უთვალთვალებდა ბიჭის ყოველ მოძრაობას. ახალგაზრდებს გარდა ფარდულთან იდგა კიდევ სამი კაცი, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ ვაჭრობას, ბიჭი კი მათ შორის ტრიალებდა და ისიც უთვალთვალებდა ვაჭარს.

ბიჭი ფეხშიშველა იყო, ჭუჭყიანი, დაფლეთილი ბლუზით, უქამროდ; მის ჩოფურა, მზემოკიდებულ ჭუჭყიან სახეზე ქვეშქვეშ გამოიყურებოდა მოელვარე ნაცრისფერი ცოცხალი თვალები, და მათ ელვარებაში სიხარბე გამოიხატებოდა.

— კარგი, ცხრა შაური,—თქვა ერთერთმა მუშტარმა და მტკიცედ ჩაიჭნია ხელი.

— ცხრა შაური,—გამოძახილივით გაიმეორა მისმა ამხანაგმა და ორივე შეაჩერდა ვაჭარს. მათ თვალებში მოლოდინი იხატებოდა.

ვაჭარმა ნაძალადევად გაიღიმა და საცოდავად ალაპარაკდა:

— ჯელებო, განა ზარალით უნდა ვივაჭრო? მეც ხომ ვჭამ, ვსვამ, ცოლი და შვილები მყავს. უნდა მოვიგო თუ არა კაპიკი?

— შენი ნებაა,—უთხრეს მუშტრებმა და დაიძრნენ ფარდულიდან. მათ მიჰყვნენ მაყურებლებიც. ამ მოძრაობამ შეაშფოთა ბიჭუნა, ის დაიღუნა, გაუძვრა ორ ახალგაზრდას შუაში, წინ გაიწვდინა ხელი, აიტაცა ფარდულიდან ერთი ნაჭერი საპონი და...გულაღმა გაიშხლართა მიწაზე.

— აჰა, შვილოსან!—გამარჯვებულივით თქვა ვაჭარმა, რომელსაც ხელი წაევლო ბიჭუნასთვის ფეხში და თავისაკენ მიათრევდა მიწაზე. მან ფარდულის ქვეშიდან წაავლო ბიჭუნას ხელი, და ახლა ბიჭუნა ანკარასავით იკლაკნებოდა, ქვაფენილს ებჯინებოდა და თავისუფლად ფეხს აქანავებდა. მუცელზე დაწოლილი მიემგზავრებოდა ფარდულის ქვეშ.

აი, წითურმა ხეპრემ მეორე ფეხშიც წაავლო ხელი და თავისაკენ გამოსწია ბიჭი, რომელმაც ამ დროს ნიკაპი დაჰკრა ქვაფენილის ქვას, და ბოლოს ბიჭი პირისპირ დაუდგა ვაჭარს. იგი იდგა მის მუხლებს შორის, წითურ ხეპრეს მაგრად შეებოჭა მუხლებითა და მჭიდე თითებით, რომლებიც ბიჭისათვის მხრებზე დაეწყო. ბიჭი წოვდა გახეთქილ ტუჩს, გვერდზე აფურთხებდა სისხლსა და ნერწყვს და წყნარად იცდიდა. მას ხელები ჩაეშვა სხეულის სიგრძეზე და ხელისგულები მუხლებზე დაედო ვაჭრისათვის.

ვაჭრის დიდ შავ თვალებში კმაყოფილება იხატებოდა, მას ღიმილისაგან დაეკრიჭა კბილები, რომლებიც ელვარებდა ხშირ წითურ წვერში; იგი ათვალიერებდა ბიჭუნას და ხმას არ იღებდა, ალბათ, იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ უნდა დაესაჯა ქურდი.

ქურდს კი უთანაბროდ აუდ-დაუდიოდა გული და მხრები უთრთოდა. მის ჩოფურა სახეზე იხატებოდა შიში, სევდა და მოლოდინი.

— აბა,—დაიწყო ვაჭარმა წარბების შეჭმუხვნით და კბილები ერთმანეთს დააჭირა,—რა უნდა გიყო ახლა შენ, ა?

ბიჭმა მხრები აიჩეჩა.

— საპატიმროში ამოგაყოფინო თავი, თუ მიგტყეპო? ამოირჩიე, რომელი გირჩევნია...

— მაპატიე, ბიძია,—სევდიანად თქვა ქურდმა,

— გა-პა-ტიო? ერთი ამას უყურე! აბა როგორ შემიძლია, შვილოსან, პატიება? შენ ქურდი ხარ.

ნივთი მომპარე, მაშასადამე, სატუსაღოში უნდა ამოგაყოფინო თავი. თუ მე შენ, ერთ ქურდს, გაპატიებ, მეორე კი მეორე ქურდს აპატიებს, ერთი მითხარი, მაშინ სატუსაღოში ვიღა იჯდომება?

— ბიძია, მეტს აღარ ვიზამ...—ნახევარ ხმით წაილუღლუღა თვალცრემლიანმა ბიჭმა ათრთოლებული ტუჩებით.

— ეგ მე არაფრად მიმაჩნია. არა, შენ ის მითხარი, ვიღა იჯდომება სატუსაღოში, თუ კი ქურდებს ვაპატიეთ ხოლმე?

ბიჭი უხმოდ ატირდა. ცრემლები სდიოდა და ლოყებზე უტოვებდა ზოლებს.

— მიპასუხე, ეშმაკის ფეხო, ვინ იჯდომება?—დაუყვირა გაბოროტებულმა ვაჭარმა თვალების ბრიალით და ყური აუწია ქურდს.

— ყა-ჩა-ღი-ი!—ქვითინის შეკავებით წყნარად წარმოთქვა ბიჭმა.

— ოხ, ჯიბგირი! რა კოხტად მომიჭრა! აზრიანი ბიჭი ხარ, შენ დაპატიმრება არ აგცდება. აბა, თქვი, რად ამწაპნე საპონი?

— ბიძია, ღმერთმანი, მეტს აღარ ვიზამ. არასოდეს აღარ ვიზამ,—წკრიალა ხმით შესძახა ბიჭმა.

— სსს! ნუ ღრიალებ! იქნება კიდეც გაპატიო, მაგრამ თუ იღრიალე,—მაშინ მორჩა შენი საქმე, ძამია! აგიყვანენ და სატუსაღოში ჩაგაგდებენ. ორმოში ჩაგტენიან, იქ კი ვირთაგვებია, ბაყაყები, გველები, ყოველდღე ამოგიღებენ ორმოდან და გაგწკეპლავენ ხოლმე.

ბიჭს საშინლად აუცახცახდა მხრები, ფართოდ გახელილ თვალებში შეძრწუნება გამოიხატა. ვაჭრის მუხლებში მომწყვდეული ქურდი ერთბაშად შეინძრა გასაქცევად, მაგრამ ვაჭარს მაგრად ჩაებღუჯა მისი მხრები თავისი მჭიდე თითებით, და წკიპურტი გაჰკრა შუბლში.

— აჰა, ესეც შენ, იგემე. ერთი ამას უყურე, გაქცევა არ მოინდომა...აბა, თქვი, რად გინდოდა საპონი?

— გავ-ყიდ-დი... – მორჩილად მიუგო ბიჭმა.

— მერე, ფულს რას უზამდი?

— ვიყიდდი... ერთ გირვანქა...პურს...

— კიდევ?

— ბავარიის ბურახს...ნახევარ ბოთლს...

— ოჰო,—გაიღიმა ვაჭარმა,—კიდევ?

—მეტი არაფერი არ მოვა...—ამოიოხრა ბიჭმა...—მხოლოდ რვა კაპიკს იძლევიან საპონში.

— აჰა, მაშასადამე, პირველად როდი იპარავ შენ საპონს, არა? აბა როგორ უნდა გაპატიო, რაკი შენ ასეთი ავაზაკი ყოფილხარ?

ქურდმა თავი ჩაქინდრა და გაჩუმდა.

— განა შინ კი არა გაქვს პური?

ქურდმა ამოიოხრა, თავი გადააქნია, ხელი მიისვ-მოისვა სახეზე და ცრემლებით სულ მოითხუპნა.

— განა დედა, მამა პურს არ გაჭმევენ.

—მამა არა მყავს...

— აბა სად არის?

— არ ვიცი.

— დედა?

— ის სულ ლოთობს...

— ჰოო,—გააჭიანურა ვაჭარმა. მას უკვე მოწყინდა ამ ქურდთან დავიდარაბა. მან კიდეც დაამთქნარა.

— ბიძია, გამიშვი! წყნარად უთხრა ბიჭმა, თავი მიიბრუნ-მოიბრუნა და ჯერ ერთ აქერცლილ ხელზე აკოცა წითურ ვაჭარს, მერე მეორეზე. ვაჭარს

ესიამოვნა ეს კოცნა. მან წვერებში ჩაიცინა...თანაც შორიდან მის საქონლიან ფარდულს მოსჩერებოდნენ ორი ქალი და პატარა გოგონა. ვაჭარმა ამოიოხრა.

— კარგი, წადი...

ქურდმა ერთბაშად გაიწია, მისი სახე სიხარულით აენთო.

— არა, ეი! მოიცა, ჯერ ყურებს ავიწევ.

მედიდურად, ხელის თანაბარი მოძრაობით აქანებდა წითური კაცი ბიჭის თავს აქეთ-იქით. ცალი ყური რომ დაუსრისა, ახლა მეორეს მიჰყო ხელი. მის სახეზე სიამოვნება არ იხატებოდა ამ ოპერაციისაგან, მასზე გულგრილობა აღბეჭდილიყო და მხოლოდ შემდეგ წაუთაქა ბიჭს კისერში და უთხრა:

—აბა, გასწი. მე კი არ დაგავიწყდე!

ბიჭს სახე გაუბრწყინდა, ხელებით ეჭირა გაცეცხლებული ყურები. მან რამდენიმე ნაბიჯი გადადგა გვერდზე და უეცრად შემოტრიალდა...ვაჭარი გაოცდა.

— რაო, არ გეყო? —ჰკითხა მან წარბების აწევით.

— ბიძია...—წყნარად დაიწყო ბიჭმა და ვედრებით შესცქეროდა წითელ სახეში,—კაპიკი მომეცი.

—აქ მო...—უთხრა ვაჭარმა წარბების მოჭმუხვნით.

— ნიკიტა ეგორიჩ,—დაუყვირა მან ქუჩის მეორე მხარეს ვიღაცას, ბიჭისათვის კი მხრებში ჩაევლო ხელი...

ქუჩის მეორე მხრიდან გადმოდიოდა კუშტი პოლიციელი და ხმალი ხელით ეჭირა.

ბიჭმა სახეში შეჰხედა ვაჭრს. ვაჭარის სახეც კუშტი იყო. მაშინ ატირდა ბიჭი, მოიკუნტა და აძაგძაგდა. მისი თავი როგორღაც ძვრებოდა მხრებში.

— ნათლია, ქენი სიკეთე, საუბნო პოლიციის სამმართველოში გაგზავნე ეს, — თქვა ვაჭარმა და თითი წაჰკრა ქურდს თავში.

— რა მოხდა, აწაპნა? — უბრალოდ იკითხა პოლიციელმა და ხელში მოჰკიდა ბიჭს ხელი.

— ერთი ნაჭერი საპონი...გათახსირებული ბიჭია.

— ჩვენ ნაცნობები ვართ, —თავი დაუქნია პოლიციელმა.—წამოდი, მიშკა, თუ რა გქვია?

— მიტკა...—მორჩილად მიუგო ქურდმა.

—მიტკა...ჰაიდა! აქ ჩვენ ფეხითაც მივალთ, ახლოა. ისინი წავიდნენ. ბიჭი ვერ ეწეოდა პოლიციელს და ქვებზე ხტოდა. ვაჭარი მისჩერებოდა მათ, ამთქნარებდა და ტუჩებზე პირჯვარს ისახავდა.

თარგმანი **შ. თაბუკაშვილისა.**

შეხვედრა გორკისთან

გიორგი ქუჩიშვილი

როცა ეწვიე ჩვენს მზიურ მხარეს,
გზაში ყვავილებს გიფენდით ულევს...
ო, როგორ დავსტკბით, როგორ ვიხარეთ,
პიონერებიც რომ გვინახულე...

☆

რა ბედნიერი ვიყავით მაშინ,
რა სიყვარულით მოგვესაუბრე...
თითქოს სიზმარში გხვდებოდით ტაშით
შენ, ვინც დაბალ ხალხს ეჭირისუფლე...

☆

რას ვიფიქრებდით, თუ ის შეხვედრა
იყო პირველი და სამუდამო?!
დაგვემშვიდობე ყველას გულმედგრად
და მოგონება დაგვრჩა საამო...

☆

თურმე, შავ-გულით და თეთრი კბილით
შენს ოჯახს გველთა ხროვა ესია...
მოგწამლეს... ო, ეგ შენი სიკვდილი,
ყველა სიკვდილზე უმძიმესია...

☆

წყეულიმც იყოს აწ და მარადის,
ვინც მოგისწრაფა სიცოცხლის დღენი...
შენ კი, სულმნათო, უფრო ამაღლდი
და გზას გვინათებს კაშკაში შენი...

სიმონ წვერავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიგლას უბედურება

დასავლეთ საქართველოს ერთ პატარა ქალაქში მესამე წელია სწავლობდა ობოლი ბიჭი გიგლა. ომის საშინელებას გიგლას ოჯახამდისაც მიეღწია: მამა ავსტრიის ფრონტზე მოეკლათ. მამის სიკვდილის შემდეგ ექვსმა თვემ განვლო, მაგრამ გიგლას ხსოვნაში მისი ნათელი სახე წარუშლელი დარჩა.

მოიგონებს თუ არა გიგლა მამას,—ტირილი წასკდება. ასე მოუვიდა დღესაც. ცრემლები რომ ვერ შეიკავა. გაყვითლებული სახე უზომოდ დაელმიჭა, წამოდგა და მასწავლებელს შეეხვეწა:

— ბატონო, კარში გამიშვი! — ძლივს ამოთქვა მან და შალის გრძელი ბეწვებიანი სახელოთი ცრემლები მოიშრალა. ხმელმა შალმა თვალები ამოუწითლა.

მასწავლებელმა გარეთ გაუშვა.

როცა გიგლა მერხების რიგს გასცლიდა, საშინელი ხველა აუტყდა. გული ძლივს დაიწყნარა, მაგრამ, დახეთ მის უბედურებას: სურდოთი შეპყრობილივით სამჯერ ისე მაგრად დააცემინა, რომ თუთის წნელის ქამარი გაწყდა, შარვალი ჩავარდა.

გიგლამ სწრაფად შეიბნია შარვალი, მაგრამ ბავშვების დაწყნარებას არაფერი ეშველა.

ნაპირიდან გადმოსულ მდინარეს უფრო მალე შეაკავებდა კაცი, ვინემ მათ თავაწყვეტილ სიცილ-ხარხარს.

ხმაურზე სკოლის ფანჯრებს ქუჩის უსაქმური ხალხი მოაწყდა, ზოგმა თავიც კი შემოყო გაღებულ ფანჯრებში: ხედავ, რა თვალის სეირი ხდება აქაო!

— აი შე შარვალჩავარდნილო!

— აი, შე ჩამოხეულო! — წამოსძახეს ყოველ მხრიდან ბავშვებმა.

ზოგიერთ მოწაფეს მართლა სძულდა ეს ობოლი ბიჭი. გიგლამ კარგად იცოდა, რომ ასეთი სიძულვილის მიზეზი მარტო მისი სილარიბე და გაჭირვებული ცხოვრება როდი იყო, არამედ ის, რომ იგი ყოველთვის ბეჯითად სწავლობდა. ისეთი დღე როგორ გამოერეოდა, რომ გიგლას გაკვეთილი არ სცოდნოდა.

დამამცირებელი სიტყვები ხშირად ესმოდა მას, ძალიან სწყინდა, ჯავრობდა, მაგრამ სწავლაზე გულმინდობილი იმედს არ ჰკარგავდა და უფრო და უფრო ეწაფებოდა წიგნების კითხვას.

გიგლას მამის სიკვდილის შემდეგ ერთხელაც არ გაუხარია, ერთხელაც არ ჩაუსუნთქავს თავისუფლად მაისის სურნელებით გამთბარი ჰაერი.

გახარება კი არა, ნეტავი ტანზე ეცვას რაიმე მთელი. ომში წასული ბიძის ან უფროსი ძმის გამონაცვალ შარვალს თუ მიუგდებდნენ, და ამით გიგლა იმდენად გაიხარებდა, რომ მთელ კარმიდამოს სულ ცეკვითა და ხტუნვით შემოირბენდა.

ამ სკოლაში გიგლაზე პატარა და ღატაკი არავინ იყო. ოჯახშიაც ყველაზე უმცროსი იყო. მის გარდა დედამისს შვიდი შვილი ჰყავდა. ამდენ ხალხს ცოტა ჭამა-სმა და ჩაცმა-დახურვა უნდოდა? ამიტომ ნახევრად მშიერ-მწყურვალ გიგლას მხრები თითქოს ჩამოჰვარდნოდა, ძვლები კი დაფლეთილ ხალათში უსიამოვნოდ ამოჭკუზოდა. ფართე და მიმზიდველი თვალები დიდ ნატანჯ კაცივით ჩაჰშავებოდა.

გიგლამ გული იჯერა ტირილით, მერე წყალი დალია და სკოლის დიდი ეზოდან დერეფნისკენ გაეშურა. ეზო ძალიან ფართე და გრძელი იყო. ირგვლივ ნაირსურნელოვან ყვავილებს მაისის მშვენიერ დღესავით გაეხსნა გულმკერდი და სასიამოვნო სუნს აფრქვევდა. სულშეწუხებულმა ბიჭმა რაღაც არაჩვეულებრივი სითბო იგრძნო. ერთს ქორფად გადაშლილ ხავერდის ვარდს ყლორტში სწვდა, მოსწყვიტა და ისე ჩაიკონა გულში, როგორც ამ ერთი წლის წინ ჩაიხუტა მამამ გიგლა ომში წასვლისას.

— რას გამტერებულხარ, ბიჭო, მანდ?! — მოესმა გიგლას ბოხი ხმა საიდანღაც. ფოთლებდაჭმუჭნილი ვარდი მტვერში ჩაუვარდა, თითქოს ქურდობაზე შეუსწრესო. მან ვარდის ფოთლებს ფეხი დააფარა და მანამდე სრისა, სანამ სულ მიწაში არ ჩაფლა.

— შენ, ეი, თავკომბალა, არ გესმის, მოდი აქ!

ახლა კარგად გაახილა გიგლამ თვალი და დაინახა, რომ პავლოვსკი, სამასწავლებლო სემინარიის დირექტორი, ხეივანში დასეირნობდა.

თავის სიცოცხლეში ისე არავისი ჰშინებია გიგლას, როგორც ამ ცხვირგაწითლებული დირექტორის. მისი ბრჭყვიალა თვალები და ბურჩხასავით[1] ხშირი ულვაშები ყოველთვის ელანდებოდა მას. რომ იტყვიან ღარიბ კაცს ქვა აღმართში დაეწევაო, ისე მოუვიდა გიგლას: ვისიც ასე საშინლად ეშინოდა, მას წააწყდა.

გიგლა დირექტორისაკენ წავიდა.

საცოდავი სანახავი იყო იგი ახლა.

მუცელგამობერილი პავლოვსკი გულზვიადად დაჰყურებდა მას. გრძელი ულვაშები ზევით აეპრიხა, ხელები ჯიბეებში ჩაეწყო და გასიებული ღიპი უფრო წინ წამოეწია.

— შენი გვარი, ბიჭო?

— დარსაველიძე, ბატონო!

— დარსაველიძე! — ჩაილაპარაკა მან და განაგრძო: — დარსაველიძე, წაეთრიე სკოლაში!

პავლოვსკიმ უაზროდ ჩაიხვიხვინა, თავისი ჩაბუჟბუჟებული ხელები გიგლას წაწვრილებულ კისერს გველივით შემოჰხვია და მანამდე ატრიალა, სანამ თავბრუ არ დაეხვა ბავშვს.

— რას მერჩით, ბატონო! — თავისდაუნებურად წასცდა გიგლას ეს სიტყვები. თავი შეაბრალა, მაგრამ სანუგეშო ვერაფერი შეამჩნია მის მრისხანე სახეზე.

გიგლას ცრემლები მოერია. ფეხები ძლივს აათრია და უხალისოდ წავიდა სკოლისაკენ.

პავლოვსკიმ თვალი გააყოლა, გიგლას შარვალი სწორედ ტანის უკანა რბილ ნაწილთან გამოჰხეოდა, ტიტველი ხორცი მზით დამწვარივით მოუჩანდა. გამოხეულ წაღაში ჩალის ფუჩეჩი ჰქონდა ჩაფენილი. ფუჩეჩს წვერი გამოეყო გარეთ, დასველებულიყო ტლაპოში და ყოველ ფეხის აწევისას ტალახი ტანზე ეწებებოდა.

ამის დანახვაზე პავლოვსკიმ სულელივით გადიხარხარა. დამცინავი ხმა გიგლას დერეფანში დაეწია, გული მოუწამლა, ნატყვიარივით დაბარბაცდა. სახეგაფითრებული ერთს ადგილას შედგა, მერე ნელა შეაღო სკოლის კარები. ბავშვებმა გამოჩენისთანავე მძლავრი სიცილი შემოაგებეს.

— შარვალზე მოიკიდე ხელი, არ ჩაგვარდეს! — კიდევ მოაძახა ვიღაცამ ბოლო რიგებიდან.

მასწავლებელმა გიგლას დაჩაგვრა ვერ მოითმინა:

— ზარმაცებო! გაჩუმდით!

ამ სიტყვებმა გიგლა ოდნავაც ვერ დაამშვიდა. მართალია, მასწავლებელს მისდამი გულთბილი დამოკიდებულება თავიდანვე ჰქონდა, მაგრამ რატომღაც საკმაოდ ვერ ამჟღავნებდა მას.

სკოლაში სიჩუმე მხოლოდ მაშინ ჩამოვარდა, როცა ღაღებულ კარებში პავლოვსკის მრისხანე სახე მოულოდნელად გამოჩნდა. პავლოვსკიმ მასწავლებელი დერეფანში გაიხმო და დიდხანს ელაპარაკა რუსულად.

მასწავლებელი დაღონებული შემოვიდა, გიგლას მაგიდასთან ვიდა, რამდენიმე წუთს ხმაამოუღებლივ იდგა მის წინ. ბავშვები ისე გაიტვრინენ, რომ ბუზის გაფრენასაც გაიგონებდით. მერე მან ალერსიანად მოუსვა ხელი თავზე გიგლას და უთხრა:

— გიგლა, წადი, ბიჭო, შინ და ამ ორ დღეს ნუ მოხვალ! — მასწავლებელს უჭირდა ამის თქმა, მაგრამ რა ექნა?

— ბატონო, რა დავაშავე ასეთი? — ატირდა გიგლა და ხალათის გულისპირს რამდენიმე წვეთი ცრემლი დაეცა.

თუ ამდენხანს ღვარძლიანად დასცინოდნენ ამხანაგები, ახლა სრული დუმილი ჩამოვარდა. გიგლას ახლობელმა ამხანაგმა, ბუხუტიამ, ვერ მოითმინა და სახეწამოწითლებული წამოვარდა:

— ბატონო, დატოვეთ სკოლაში გიგლა, რას ერჩით მაგ საწყალ ბიჭს, რომ არაფერი გაუფუჭებია! — და ისიც გიგლასავით აზლუქუნდა. მისმა ტირილმა სხვებზედაც იმოქმედა.

მასწავლებელი ქანდაკებასავით იდგა. ეს გამოცდილი ადამიანი საკუთარმა უძლურებამ შეაწუხა. — რა ვარ ახლა მე, თუ ერთი საწყალი მოწაფის ბედისათვისაც ვერ მომივლიაო, — წუხდა იგი. გიგლა შინ წავიდა.

დუმილი დიდხანს გაგრძელდა.

[1] ხშიროღერებიანი ბალახი, იზრდება ნარწყავ, დაბლობ ადგილებში.

2.

ავებში ჩაცმული გაიანე ხბოს თბილი წყლით ბანდა. გაწუწული ბოჩოლა თავის პაწია პირს ჩვილ ბალახს უცაცუნებდა. ეზოს კარი აჭრიალდა, ბოჩოლა შეკუნტრუშდა, ეგ… საძოვრიდან მოსული დედა რძით გატენილი ჯიქნების გამოსაწოვად ეძახდა. რქებდაშვებული ძროხის მაგივრად გიგლას გაყვითლებულ სახეს რომ შეჰხედა, წელი ზარმაცად ჩაზნიქა და აღერებულ ბალახს უსიამოვნოდ წაეთამაშა.

გიგლა თხილის წნელით დაღობილ ჭიშკარს ამოეფარა. კარგახანს იქნებოდა ასე უგრძნობლად დაყუდებული, რომ მეზობლის ტახს ჩელტის ჭიშკარი დინგზე არ წამოეგო ღრუტუნით.

ამ ხმაურზე გაიანე ქაქანით გაიქცა ორღობისაკენ. გაიანე გაფითრდა, იმ სამგლე ღორის მაგივრად თვალებამოწითლებული გიგლა შერჩა ხელში.

— აქ რა გინდა, ბიჭო?

— ჰმ!—წაილუღლუღა გიგლამ.

— შე ცეცხლმოკიდებულო, იეშმაკე რამე?

— არა, დია, არა, მასწავლებელმა მითხრა ახლავე შინ წადი და ორ დღეს ნუ მოხვალო.

— უბედურო, უბედურო, შენხელა ბიჭს იმდენი ჭკუა უნდა გქონდეს, რომ გაიგო, მამა არა გყავს და ამიტომ კარგად უნდა ისწავლო, არ უნდა იე-მაკო, შენ კი რა მიქენი დამლუპე ქალი და ამომაგდე: დამიჯექი სახლში გულსაკლავად, ვ[illegible] გაჭირვება არ მქონდეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე არასოდეს არ გასჯავრებია დედა პატარა გიგლას. მართალია, გაიანეს არ სჯერა გიგლას სკოლიდან გამორიცხვა, მაგრამ გული როგორ დაიმშვიდოს ხვალამდის?

გიგლამ თავი დააღწია დედის საყვედურს, პატარა ბოჩოლას ჩვილი ბალანი საპნით დაუბუჟუჟა, თბილი წყალი გადაავლო ზურგზე და მერე მზეზე გააჩერა გასაშრობად, თვითონ კი ყორეზე ჩამოჯდა.

სკოლიდან მომავალ ბავშვებს დაუწყო ლოდინი.

მეზობლის ბიჭები, ბუხუტია და არჩილა, მოსახვევში გამოჩნდნენ. გიგლას მათი დანახვა ისე გაეხარდა, რომ ყორიდან გადახტა და გზაზე შეეგება.

— შენი საყვარელი მასწავლებელი რომ გაქეზებდა დიდი ნიჭიერი და ქვეყნის უკეთესი ხარო, ჰე, დაჯექი ახლა სახლში და ითამაშე რიკტაფელობია!—გააჯავრა არჩილმა გიგლა და თან შურიანი თვალებით შეჰხედა.

გიგლა დაღონდა.

ბუხუტიამ ხელი ჰკრა არჩილს.

— დედის გინებისა და ცემატყეპის მეტი რა გისწავლია შენ! დაგავიწყდა, გიგლა ლექსებს რომ გვასწავლიდა ზეპირად და ამოცანებსაც მისი საერთო რვეულიდან რომ ვიწერდით?—შეუბღვირა ბუხუტიამ მას და გაფოთლილ ატმის რტოს ხელი შეუწია.

არჩილი თოფნაკრავივით გაჰყვა შუკას.

ბუხუტია დიდხანს დარჩა გიგლასთან.

(გაგრძელება იქნება)

სიმღერა

ლადო გეგეჭკორი

ჩემო ლამაზო სამშობლოვ,
მორთულო ყვავილებითა,
კოპწიად გამომზირალო,
აღვსილო ეშხით, გზნებითა,
გადაქარგულო ველებით
და ათასნაირ მთებითა,—
უმაღლეს საბჭოს არჩევნებს
შენ ჰხვდები სიხარულითა,
შენი ერთგული შვილები
გიერთდებიან სულითა,
დადგეს ხვავი და ბარაქა,
შრომობენ ერთის გულითა!

მაშ იზეიმე, სამშობლოვ,
მორთულო ყვავილებითა,
იმხიარულე, იმღერე,
იყავ ლაღად და შვებითა,
გადაქარგულო ველებით
და მადნიანი მთებითა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯამბული

ამ რამდენიმე თვის წინ მოხდა ეს ამბავი.

შორეული ყაზახეთის კოლმეურნეობა „ერნაზარში“ შეგროვილიყვნენ ბედნიერი ბავშვები. ისინი სიხარულით ელოდნენ საყვარელი აკინის გამოჩენას.

—ჯამბული მოდის!

—ჯამბული მოდის! — აღტაცებით წამოიძახა ერთმა პიონერმა.

მართლაც, ბავშვებისკენ მოდიოდა ჭაღარა კაცი, რომელსაც ხელში დომბრა ეჭირა. ეს მათთვის კარგად ცნობილი პოეტი ჯამბულ ჯაბაევი იყო,—ყაზახეთის დიდი აკინი, სახალხო მომღერალი.

მოხუცი ბავშვებს შორის ჩაჯდა, ხელში დომბრა მოიმარჯვა და დაიწყო თავის უკვდავ ქმნილებათა დამღერება. სულგანაბული ბავშვები გატაცებით უსმენდნენ საყვარელ აკინს...

ვინ იცის, რას არ ფიქრობდნენ ისინი მაშინ. რა სიხარულსა და სიამაყეს არ გრძნობდნენ!

ბრძენ მოხუცს კი აგონდებოდა საშინელი წარსული, მწარე ბავშვობა. აი, ისიც აქ დაიბადა,—აულ ერნაზარში, მთა ჯამბულის მახლობლად, 1846 წელს! მშობლებმა ჯამბული დაარქვეს, რომ ამ მთასავით მაგარი ყოფილიყო მათი შვილი.

წამოიზარდა ბავშვი...

რა სიღარიბესა და საშინელებას ხედავს იგი: მამა, ჯაბაი, ღატაკი ყაზახია, მომთაბარე. მამას დახეული ჩაპანი აცვია. გადის დრო, გადის წლები, ჯაბაი კი მაინც დაფლეთილი ტანსაცმელით დადის ირგვლივ სიღარიბეა, ტანჯვა, წამება, საშინელება.

მოლები, ვაჭრები, ბაები, მეფის მოხელეები უწყალოდ ჩაგრავენ ხალხს, ტყავს აძრობენ მათ.

მდიდრებს უმღერის, ხოტბას ასხამს ზოგიერთი აკინი. ბაები აკინს ნადიმებზე პატიჟობენ, ნასუფრალით კვებავენ, გამონაცვალ ტანსაცმელს აძლევენ.

ხალხს არ უყვარს ასეთი აკინები, ხალხს ძულს ისინი. სამაგიეროდ თაყვანს სცემენ ღარიბების ბედზე მომღერალ აშუღებს.

და აი, ერთი ამგვარი აკინთაგანი განთქმული სუიუმბაი არის. ჯამბული მიდის მასთან, ჯამბული სუიუმბაის მოწაფე ხდება.

ჭაბუკი აშუღი იცნობს ხალხს და დომბრით ხელში სულ ხალხზე მღერის. აღტაცებული მასწავლებელი უანდერძებს მას: „დიდ აკინს საკუთარი ხმა უნდა ჰქონდეს, მიწას საკუთარი ადლით უნდა ზომავდეს, ყოველი შენი სიტყვა უნდა ჰგმირავდეს, როგორც ხანჯალი. არასოდეს არ იპირმოთნეო. ამოიღე სიტყვები შენი გულიდან, როგორც წყალი ჭიდან“.

ჯამბულმა მართლაც იპოვნა თავისი სიტყვები... გულმართლად მღეროდა საკუთარ თავზე, გულმართლად მღეროდა ხალხზე. საკუთარ თავზე მღერა იგივე ხალხზე მღერა იყო, რადგანაც ჯამბული სხვებივით სიღარიბესა და გაჭირვებაში ატარებდა დღეებს.

და რამდენი ლექსი შექმნა წყვდიადით მოცულ ყაზახთა ცხოვრებაზე, რამდენი!

მერე მან ნახევარ საუკუნეს გადააბიჯა. სიბერე წამოეწია აკინს, თითქოს სიკვდილიც ახლოვდებო-

და! დომბრის ნაცვლად ხელში ჯოხი ეჭირა. ქრებოდა აშული, რადგან არ შეეძლო კარგი სიმღერების თქმა.

მაგრამ წლებს წლები გაჰყვა, და თვით ძველი დრო გაქრა. განთავისუფლდა ყაზახეთი, ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა. ჯამბულს ახალი ძალა და ენერგია შეემატა. მან დაიწყო სიმღერა დიდ ლენინზე, დიდ სტალინზე, თავისუფლებასა და მეცნიერებაზე.

„გვესმის შენი ხმა მთელ მსოფლიოს დევგმირო, ლენინ!
ვხედავთ შენს თვალებს, — ვით ზაფხულის მზის ნათელ სხივებს“...

გულმართლად, საქვეყნოდ მღერის საყვარელი აშული. ახლა მას არ ეშინია სიბერის, თუგინდ კიდევ უფრო იმატოს წელთა სიმრავლემ.

„—ჯამბული ოთხმოცდაათის გამხდარა...
ვმღეროდი ყოველთვის თეთრი და ჭაღარა.
სიბერე ვერ მომერია,
ჯამბული ბედნიერია.
სიხარულს გადმოგცემთ მე, განა
ავყვავდი, ვით ჩემი ქვეყანა
სტალინმა ჯერ სიყრმე მაჩუქა,
ჯამბული გადიქცა ჭაბუკად“.

მღერის ჯამბული, მღერის და მღერის:

ჩვენ სხვა ყოფა გვქონდა კრული,
დაწყევლილი, უმადური.
და მაისში როს პირველად
პიონერთა დროშით გზაზე
ხელს მიქნევენ მიმზიდველად,
გულდათუთქულს მაშინ მწველად
ცრემლი მითრთის მოხუცს თვალზე.
გაიზარდე. ვარდნაფენი
წიხ გაგშლია გზა ნათელი,
შენი ქვეყნის გულისათვის
გმირი ცეცხლით აინთები.
პიონერი შენ იქნები,
კომკავშირში შენ ისწავლი,
ბოლშევიკად გაიზრდები.

ბავშვები ისევ გატაცებით უსმენდნენ დიდ აკინს.

ნ.—ლი

გიორგი კაჭახიძე

კუდბუთქუნა ლეკვი იყო,
სუფთად მყავდა, კარგად ვზრდიდი;
მზრუნველობას არ ვაკლებდი,
გასუქდა და გახდა დიდი.
ახლა ჩემი ეზო-კარი
ევიწროვა, არ იკმარა,
განებივრდა და სოფელში
დადიოდა წარამარა.

ბრუნდებოდა შინ მაძღარი,
ილოკავდა ტუჩებს მუდამ,
არხეინად წასვლა-მოსვლა
შეიშნო და გადიდგულდა.
გუშინ დილით საბძლის უკან,
სადაც ხესთან ხე დგას ძმურად,
გულმოსულმა ერთი სროლით,
ერთი ტყვიით მოვკალ მურა.
ნუ დამძრახავთ, როგორ ფიქრობთ,
განა მსურდა მოკვლა მისი?!
სხვა რა მექნა! არ დაინდო
წიწილები ჩემი, სხვისი.

არა ერთხელ, არა ორხელ
დაერია, გაჰკრა კბილი,
კვერცხიც ყველგან ბევრი სანსლა
და ჭუკების ხორციც რბილი.
მოვინდომე და ვეცადე,
რომ დაეგმო ჩვევა ცუდი,
რომ სოფელში მელასავით
არ ეხვია გრძელი კუდი,
გავუჯავრდი, ხან დავტუქსე,
ხან მივაბი თოკით, ხეზე,

ტყეშიც ბევრჯერ წავიყვანე
და კურდღლებზე წავაქეზე.
ჩვენს ოჯახში საჭმელს ყველა
წინ ვუყრიდით დროზე, მშრალად,
ბინაც ჰქონდა, მაგრამ ძაღლმა
წუწკობა არ დაიშალა.
შემიწუხა მეზობლები,
ამიშფოთა ლობე-ყორე,
გავცეცხლდი და ბოლოს მურა
ერთი ტყვიით მოვიშორე.

შაღვა მარიანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ფარაონი

ხუთას ოცდახუთ წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდის ეგვიპტეზე მრავალრიცხოვანი ჯარით გაილაშქრა სპარსეთის მეფე კამბიზმა. იმ დროს ეგვიპტეს განაგებდა ფარაონ ფსამენიტი, ანუ ფსამეტიკ მესამე. ფსამენიტი შთამომავლობით დაბალ წოდებას ეკუთვნოდა. მისი მამა ფარაონ ამაზისი ოდესღაც უბრალო ჯარისკაცად მსახურობდა. მან მტრებთან ბრძოლებში დიდი გმირობა გამოიჩინა, თანდათან დაწინაურდა და ჩქარა ჯარის მთავარსარდალი გახდა. და ერთხელ, როდესაც ფარაონ აპრიასს განუწყვეტელი ბრძოლებისათვის ჯარის ნაწილი აუჯანყდა, უკანასკნელმა აჯანყების ჩასაქრობად ამაზისი გაგზავნა. ამაზისმა შემთხვევა მოხერხებულად გამოიყენა, აჯანყებულებს მიემხრო და ფარაონის მთავარი ძალებისაკენ გამოილაშქრა. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგე დაამარცხა, თვით ფარაონი კი ტყვედ ჩაიგდო. აღშფოთებულმა ჯარისკაცებმა ფარაონ აპრიასი ნაკუწნაკუწად აქციეს და მის ადგილზე ამაზისი აირჩიეს.

ამაზისმა სახელი გაითქვა, როგორც გონიერმა მმართველმა და მშვიდობიანობის მოყვარულმა. როცა კამბიზი ეგვიპტეს დასაპყრობად მიადგა, მაშინ ამაზისი უკვე ექვსი თვის გარდაცვალებული იყო.

კამბიზმა თავისი ჯარი ეგვიპტის დედაქალაქ მემფისიდან ორი დღის სავალზე დაბანაკა და შეტევისათვის მზადება დაიწყო.

ეს ამბავი ფარაონ ფსამენიტისათვის მოულოდნელი იყო. მართალია, მან იცოდა, რომ ჯერ კიდევ კამბიზის მამა კიროსი ეგვიპტეს დაპყრობას ემუქრებოდა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ამ მუქარის განხორციელება არც თუ ისე ადვილი საქმე იყო. ჯერ ერთი, ეგვიპტემდის რომ მიეღწიათ, ხუთი დღე უნდა ევლოთ ისეთ უდაბნოზე, სადაც ერთი ჭაც კი არ მოიპოვებოდა, რომ წყურვილი მოეკლათ.

მაშ როგორ შესძლო კამბიზმა ამ სიძნელეთა გადალახვა? ფსამენიტმა ჩქარა გაიგო, რომ მოღალატე ფანესს ესწავლებინა სპარსელებისათვის ეგიპტეში მოსასვლელი მოკლე გზები; მასვე მოესყიდა არაბები, რომლებსაც მტრის ჯარი უდაბნოზე გადასვლის დროს წყლით მოემარაგებინათ.

ფანესი ეროვნებით ბერძენი იყო. ოდესღაც ის ფარაონ ამაზისთან მსახურობდა და დაქირავებულ ბერძენთა ჯარის უფროსი იყო. რაღაც დანაშაულისათვის ამაზისმა იგი თანამდებობიდან გადააყენა და დაპატიმრება მოუნდომა. მაგრამ ფანესმა მოასწრო გაქცევა და სპარსეთში გადაიხვეწა. დეენილი სარდალი კამბიზმა მოხერხებულად მოისყიდა და, როცა ეგვიპტეზე გაილაშქრა, გზის მაჩვენებელად თან წაიყვანა...

ფარაონმა სასწრაფოდ შეკარა ჯარი და სპარსელებთან საბრძოლველად გაილაშქრა, დელტის მიდამოებში გამაგრდა და მტერს ლოდინი დაუწყო.

ფანესის გამცემლურმა საქციელმა ბერძნები დიდად გაარისხა. ფარაონისათვის რომ თავისი ერთგულება დაემტკიცებინათ, ბრძოლის ველზე მოწინავე ხაზი თვითონ დაიკავეს. მათ თან ჰყავდათ ფანესის ორი ვაჟი. გაქცევის დროს ფანესმა მათი წაყვანა ვერ მოასწრო, ახლა კი სპარსელებთან ერთად მოისწრაფოდა, რომ გამარჯვებული ეგვიპტეში შესულიყო და თავისი ვაჟები ენახა.



საბრძოლო ნაჯახი

როცა სპარსელები ისრის სასროლ მანძილზე მოახლოვდნენ, ბერძნებმა დაინახეს, რომ მტრის ჯარს ფანესი მოუძღოდა. ეს უკვე მეტისმეტი იყო, და გაბრაზებულებმა თავის უღირს თანამემამულეს გადასძახეს:

—ფანეს, ფანეს!! საზიზღარო მოღალატე!! ბერძენთა სახელის შერცხვენისათვის საკუთარი თავით



ეგვიპტელების საბრძოლო ეტლი

აგებ პასუხს! მაგრამ ჯერ შვილების უბედურებას განახვებთ!—და ბერძნებმა ვეება თასი მოიტანეს. თავზარდაცემული მამის თვალწინ ორივე ვაჟს ყელები გამოსჭრეს, მათ სისხლში ღვინო და წყალი აურიეს და სასმისებით დასალევად ჩამოირიგეს...

ფანესი დაჭრილი ნადირივით ღრიალებდა, სასოწარკვეთილებით თავში ხელებს იცემდა და სპარსელებისაგან შველას ითხოვდა.

საშინელმა სურათმა ორივე მხარე შეაძრწუნა, სისხლიანი ნადიმი რამდენიმე წუთს გაგრძელდა, მაგრამ იგი საუკუნეებს უდრიდა...

ამის შემდეგ ბერძნები იერიშზე გადავიდნენ. მათ მიჰყვნენ ეგვიპტელები, და გაიმართა სასტიკი ხელჩართული ბრძოლა. ბრძოლას თვით ფარაონი ხელმძღვანელობდა, თავის საბრძოლო ეტლით გრიგალივით დაქროდა და ჯარს ამხნევებდა. თავგანწირვით იბრძოდნენ ბერძნები და ეგვიპტელები. მტერს დიდი ზარალი მიაყენეს. მაგრამ მათი რიცხვი თანდათან მცირდებოდა. მტრის ძალა მათ ერთიორად სჭარბობდა, და ბრძოლის ბედიც რაოდენობამ გადაწყვიტა.

საღამოსათვის ეგვიპტელები უკვე თავდაცვაზე გადავიდნენ და მეფისაკენ უწესრიგოდ იხევდნენ. მხოლოდ ღამემ დაუდო საზღვარი საშინელ სისხლის ღვრას. იმ დღეს ბრძოლის ველზე სამოციათასი ეგვიპტელი და ბერძენი მოკვდა.

დამარცხებულმა ფარაონმა თავი მემფისს შეაფარა და იქ გამაგრდა. კამბიზს ჯერ მეფისათვის არ ეცალა, მან ქვედა ეგვიპტეს მიაშურა, საითკენაც გზა გახსნილი იყო. მისი ბრძანებით სპარსელებმა დაიწყეს მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევა და ძარცვა-გლეჯა. არ ინდობდნენ არავის, არც მოხუცს და არც ახალგაზრდას. მრავალი უდანაშაულო ეგვიპტელი გამოასალმეს სიცოცხლეს. სადაც კი მივიდოდა კამბიზი, ყველაფერს ანგრევდა და აოხრებდა. როცა ქვედა ეგვიპტე ააოხრა, ახლა მემფისისაკენ გასწია. ფარაონს ოცი კაცი გაუგზავნა და დამორჩილება შეუთვალა. როცა მიგზავნილი სპარსელები მემფისში ავიდნენ, აღშფოთებულმა ხალხმა ყველა დახოცა და მდინარეში გადაყარა, მათი ხომალდი კი ნაფოტებად აქცია.

განრისხებულმა კამბიზმა მემფისს ალყა შემოარტყა და სურსათ-სანოვაგის შემოსატანი გზები გადუჭრა. დიდხანს იყვნენ ეგვიპტელები გამაგრებულნი, გმირულად იცავდნენ თავის დედაქალაქს, ბოლოს ვერ ეღირებოდათ ადვილად დაეთმოთ თავისუფლება, მაგრამ შიმშილმა აიძულა დათმობაზე წასულიყვნენ. დაეცა მემფისი, და ეგვიპტის დიდების მზეც დასავლეთისაკენ ჩაესვენა...

ფარაონი თავისი ამალით ტყვედ ჩაუვარდა კამბიზს. უკანასკნელმა მათი სიკვდილით დაჰსჯა განიზრახა, მაგრამ ჯერ ვერაგულ ხერხს მიმართა: მას შვილების ტანჯვა-წამება აყურებინა, დიდებულთა ქალიშვილებს, რომელთა რიცხვში ფარაონის ქალიშვილიც ერია, დაგლეჯილი კაბები ჩააცვა და სპარსელებისათვის წყალს აზიდვინებდა. მძიმე კოკების ქვეშ ქალიშვილები წელში იდრიკებოდნენ, აგრამ შესვენებას ვერ ბედავდნენ, უკან სპარსელები მათრახებით მოსდევდნენ და შეუბრალებლად სცემდნენ. მამები უყურებდნენ თავისი შვილების წამებას და სასოწარკვეთილებით ტიროდნენ. არ ტიროდა მხოლოდ ფსამენიტი, იგი გაყინული სახით უძრავად იჯდა.

ტუსაღებმა უფრო ხმამაღალი ტირილი მორთეს როცა დაინახეს, რომ სპარსელებს მათი ვაჟები დასასჯელად მიჰყავდათ. უკან ვეება ნაჯახებით ჯალათები მისდევდნენ. ყველაზე წინ ფსამენიტის ათი წლის ვაჟი მიდიოდა. როცა განწირულნი ტუსაღებს მიუახლოვდნენ, მოწინავემ ფსამენიტი იცნო, მცველებს გამოუსხლტა, მამასთან მივარდა, მუხლებზე შემოეხვია და შეევედრა:

— მიშველე, მამი! მეშინია, აი, იმ კაცის მეშინია!—პატარამ ჯალათისაკენ გაიშვირა ხელი და მწარედ ატირდა. ფსამენიტს გაყინული სახე გვერდზე მოექცა, ქვედა ტუჩი ოდნავ აუკანკალდა, მაგრამ უმალვე თავი შეიკავა, შვილს თავზე ხელი გადაუსვა, მოეფერა, ცრემლებით დანამული სახე და პატარა ხელები მხურვალედ დაუკოცნა, მერე ხელში აიყვანა და გულში ჩაიკრა. ერთხანს ასე გარინდებული იდგა და განწირულ შვილს თვალებში ჩასცქეროდა. სახე მშვიდი ჰქონდა, მაგრამ თავის ოდნავი მოძრაობა მოწმობდა, მამის გულში რა ჯოჯოხეთიც ტრიალებდა.

მცველებმა ძლივს მოაშორეს შვილი მამას. პატარას მაგრად ჩაებღუჯა მამის კალთისათვის ხელები და არასგზით არ აპირებდა გაშვებას...

ცოტა ხნის შემდეგ სპარსელებს ჩამოუარა ერთმა მოხუცმა შემოძარცვული ტანსაცმელით და მოწყალება ითხოვა. მოხუცის დანახვაზე ფსამენიტი ფეხზე წამოვარდა და ხმამაღლა ატირდა.

— ო, საბრალოვ, რა უბედურებაა შენ თავს! ნუთუ ისე დაეცი სულით, რომ მტრისაგან მოწყალებას ითხოვ!—გადასძახა ტირილით ფსამენიტმა მათხოვარს.

მოხუცი, რომლის დანახვამ ასე ააფორიაქა ეგვიპტის ყოფილი ფარაონი, იყო მისი აღმზრდელი და მეგობარი, მემფისის მთავარი ქურუმი.

გაოცებული კამბიზი ფსამენიტს მიუახლოვდა და რბილად უთხრა:

— მითხარ, უცნაურო კაცო, საკუთარი შვილების უბედურების დანახვის დროს შენს თვალებზე ცრემლი ვერ შევნიშნე, ამ მოხუცისათვის კი, რომელიც, ვიცი, შენი ნათესავი არ არის, ასე სასოწარკვეთით რად ტირი?

— კიროსის შვილო, საკუთარი უბედურება ისე დიდია, რომ მას ტირილით ვერ გამოხატავ, მეგობრის უბედურება კი შებრალებისა და ცრემლების ღირსია,—მიუგო დაღონებულმა ფსამენიტმა. კამბიზს პასუხი მოეწონა და იმავე წუთს გასცა ბრძანება. რომ მისი შვილი არ დაესაჯათ, უკან დაებრუნებინათ, მაგრამ უკვე ძალიან გვიან იყო: ჯალათმა პირველად მას გააგდებინა თავი.

ამ შემთხვევის შემდეგ კამბიზმა ტუსაღები თავისუფლა, ფსამენიტს კი წინადადება მიუცა:

— თუ დამმორჩილდები, ეგვიპტის მმართველად ისევ შენ დაგნიშნავო.

— შენ შეგიძლია უბრძანო ჯალათს თავი გამაგდებინოს, მაგრამ მონობას ვერ მაიძულებ,—დინჯად მიუგო ფსამენიტმა.

გათავისუფლებულმა ფსამენიტმა კამბიზს შეთქმულება მოუწყო, მაგრამ უკანასკნელმა დროზე გაუგო და სიკვდილით დასაჯა, ხარის სისხლით დაახრჩო. ასე დაასრულა თავისი სიცოცხლე ეგვიპტის უკანასკნელმა ფარაონმა...

საბედისწერო მშვილდი

ეგვიპტის დამორჩილების შემდეგ კამბიზს დაპყრობის მადა გაეხსნა. მან განიზრახა ახალი ქვეყნის დაპყრობა, პირველ რიგში ისეთი ქვეყნისა, რომელიც ადგილმდებარეობით ეგვიპტესთან ახლო იქნებოდა. ასეთი კი იყო ეთიოპია (აბისინია), და კამბიზის არჩევანიც მასზე შეჩერდა. მაგრამ ამ მიზნის მიღწევას მთელი რიგი დაბრკოლებები გადაეღობა წინ. ჯერ ერთი, სპარსელები კარგად არ იცნობდნენ ეთიოპიის ადგილმდებარეობასა და მისასვლელ გზებს, აგრეთვე არ იცნობდნენ ეთიოპიელთა ბრძოლის უნარიანობას. საჭირო იყო წინასწარ ამ ქვეყნის დაზვერვა და ცნობების შეგროვება. ამ მიზნით კამბიზმა ეთიოპიის მეფესთან გაგზავნა სამხედრო ჯაშუშები ძვირფასი საჩუქრებით, ვითომდა კეთილმეზობლური ურთიერთობის დასამყარებლად. მაგრამ ეთიოპიის მეფე ჩქარა მიხვდა, რისთვისაც იყვნენ მოსულნი კამბიზის „ელჩები“, და მათ შემდეგი სიტყვებით მიჰმართა:

— მე კარგად ვიცი, რისთვისაც მოსულხართ თქვენ. კამბიზი სრულიად არ ფიქრობს ჩემს დამეგობრებაზე. მისი მიზანია ჩემი ქვეყნის დამონება და განადგურება! გადაეცით მას ეს მშვილდი და უთხარით: თუ სპარსელები შეძლებენ ერთხელ მაინც ამის საბელის მოწევას ისე თავისუფლად, როგორც მე,—და მან სპარსელების დასანახავად მშვილდი რამდენჯერმე მოხარა,—მაშინ შეუძლიათ ჩვენს წინააღმდეგ გამოლაშქრება, მანამდის კი შინ ისხდნენ და ალახს შეევედრონ, რომ მათ თავზე არ დავესხათ!

როცა კამბიზმა ეთიოპიის მეფის პასუხი მოისმინა, გაბრაზებულმა მშვილდს ხელი სტაცა და მისი საბელი მძლავრად მოსწია, მაგრამ რკინის ხვეული არ დანებდა, ოდნავადაც არ მოიზიდა. კვლავ მოსწია, მაგრამ კვლავ უნაყოფოდ.

— ეს მშვილდი კი არა, რაღაც მაცდურებაა!— წამოიძახა თავის გასამართლებლად გაწბილებულმა კამბიზმა,—ამის მოწევა არავის ძალუძს! პრეკზასპეს! ჰა, შენც გასინჯე და დარწმუნდები, რომ მე მართალი ვარ; და კამბიზმა მშვილდი ერთერთ სარდალს გაუწოდა. უკანასკნელმა მძიმედ დაუკრა თავი, მშვილდი ჩამოართვა და გაუბედავად მოსწია. საბელი უძრავად დარჩა. კამბიზს თვალები გაუბრწყინდა.

— არ გითხარით, რომ ამის მოწევა არავის ძალუძს!

— დიაღ, დიდებულო მეფევ, არავის!—უმალვე მიუგო პრეკზასპესმა.

— ვის სურს კიდევ გასინჯოს მშვილდი?—მიჰმართა კამბიზმა ირგვლივ მყოფთ, მაგრამ მსურველი არავინ აღმოჩნდა. კამბიზმა წინადადება გაიმეორა.

— მე მსურს, ჩემო მბრძანებელო!—წამოიძახა ოქროსთმიანმა ლამაზმა ჭაბუკმა და კამბიზის წინ გაჩერდა. ეს იყო მისი უმცროსი ძმა ბარტია, სპარსელებში სახელგანთქმული ვაჟკაცობითა და მკლავის სიძლიერით. კამბიზმა წინდაუხედავ ძმას უკმაყოფილოდ შეჰხედა, მაგრამ მშვილდი მაინც გაუწოდა. ბარტიამ საშველად ალახი მოიხმო და საბელი მძლავრად მოსწია. მშვილდი მოიხარა. კამბიზს შურითა და ზიზღით აევსო თვალები, გამარჯვებულ ბარტიას ზურგი შეაქცია და კარებისაკენ წავიდა, პრეკზასპესს ანიშნა თან გაჰყოლოდა.

— პრეკზასპეს! ხედავ, ბარტიას თავხედობა სადამდის მივიდა! მან დღეს საჯაროდ შემარცხვინა და ის შესაფერისად უნდა დაისაჯოს... პრეკზასპეს! შენ უნდა წაიყვანო სადმე ბარტია და საკუთარი ხელით მოკლა. გესმის? საკუთარი ხელით!

ამ სიტყვებით თავზარდაცემული სარდალი ფეხზე ძლივს იდგა, როგორც იქნა, ძალა მოიკრიბა და შეჰბედა:

— ო, დიდებულო მეფევ, მონა შენი უძლურია ამ საქმეში...

— თუ გიმძიმს ეს საქმე, მაშ ამ სიმძიმემ გაგსრისოს შენ! გამშორდი! მოიცა, სამ დღეში შედეგს მაცნობებ!

მიდიოდა პრეკზასპესი შინისაკენ და თავში საშინელი აზრები უტრიალებდა. „როგორ მოვიქცე, მოვკლა თუ არა? ბრძანება უნდა შესრულდეს, უდანაშაულო ბარტია უნდა მოკვდეს! სხვა გამოსავალი არა მაქვს...ურჩობისათვის კამბიზი ოჯახს გამინადგურებს, მეც თავს მომკვეთს...საბრალო ბარტია! ო, კამბიზ, კამბიზ, საკუთარ ძმასაც არ ინდობს! ვაი ჩვენ შენს ხელში!

რამდენიმე დღის შემდეგ გაყვითლებული პრეკზასპესი კამბიზის წინაშე წარდგა. მის დანახვაზე კამბიზი ფეხზე წამოვარდა და შესძახა:

— რა ჰქენ, მოჰკალ თუ არა?!

— მოვკალ, ჩემო მბრძანებელო, მოვკალ, საკუთარი ხელით მოვკალ! და სარდალმა თავში ხელი შემოირტყა და აქვითინდა.

კამბიზმა ძმის მკვლელი უხვად დააჯილდოვა.

უდანაშაულო მსხვერპლი

ბარტიას ფარული მკვლელობა სპარსელებისათვის შეუმჩნეველი არ დარჩა. „საკუთარი ძმა არ დაინდო და ჩვენ რა ხეირს დაგვაყრისო“ ამბობდნენ უკმაყოფილო სარდლები. კამბიზმა უკმაყოფილება შეამჩნია და პრეკზასპესი დაიბარა.

— პრეკზასპეს! მე მსურს შენგან გავიგო სიმართლე...რა აზრის არიან ჩემზე სპარსელები? ცუდს ხომ არაფერს ხედავენ ჩემში? პრეკზასპეს! მე მსურს სიმართლე!

— ო, დიდებულო მეფევ, — მიუგო შეშინებულმა სარდალმა, — განა შეუძლიათ მათ, უბრალო მოკვდავთ, შენში ცუდი რამ დაინახონ! შენა ხარ დიდი გმირი და მიუწვდომელი, როგორც ღმერ...

— თვალთმაქცობ! - დაიღრიალა კამბიზმა, — გაიძვერავ, თავს ვერ დააღწევ ჩემი ხელიდან, სანამ სიმართლეს არ მეტყვი! თქვი ჩქარა: რა უარყოფით მხარეს ხედავენ ჩემში! აკანკალებულმა პრეკზასპესმა ძლივს წამოიხრიალა:

— გადაჭარბებით ღვინოს სვამსო.

— გადაჭარბებით ღვინოს სვამსო? აი, თურმე, რაში ყოფილა საქმე! მე ეს არ ვიცოდი! — და კამბიზმა გესლიანად გაიღიმა. — მაშ მათ ჰგონიათ, რომ მე მუდამ მთვრალი ვარ და შენ კი, ჩემო სახელოვანო სარდალო, ეს ჭორები გჯერა?!

პრეკზასპესმა უარყოფის ნიშნად ხელები გაასავსავა და შეეცადა თავის გამართლებას, მაგრამ ულმობელმა კამბიზმა შეაჩერა.

— არა, მე მსურს დაგარწმუნო შენ, პრეკზასპეს, რომ მთვრალი არა ვარ!

კამბიზი ფანჯარას მიუახლოვდა და ძირს ვიღაც შეამჩნია.

— პრეკზასპეს! ვინ არის ის ჭაბუკი, ბაღში ჩაფიქრებული რომ ზის?

სარდალი ფანჯარას მიუახლოვდა და გახევებული დარჩა.

— არ გესმის, ვინ არის მეთქი?

კამბიზმა კარგად იცოდა, ვინც იყო იგი.

— შვილია ჩემი, დიდებულო მეფევ...

— შენი შვილია? კარგი შემთხვევა მეძლევა... პრეკზასპეს? მომაწოდე ჩემი მშვილდ-ისარი!

სარდალი შეკრთა, თავში საშინელმა აზრმა გაუელვა, ანგარიშმიუცემლად მეფეს მშვილდი მიაწოდა.

— პრეკზასპეს! თუ მე შენს შვილს ისარს ავაცდენ, მაშინ შეიძლება სპარსელები მართალი არიან, მაგრამ თუ შიგ გულში გავუტარე, დარწმუნდები, რომ მე ჯერ ლოთი არა ვარ! შეევედრე ალახს, რომ ისარი მიზანს არ მოჰხვდეს...

თავზარდაცემული პრეკზასპესი ფანჯარას მიაწყდა და კამბიზს მკერდი მიუშვირა.

— ო, მეფევ! მე მომკალ, მე! მას შენთვის არაფერი დაუშავებია! თუმცა არც მე დამიშავებია რამ.. მე ხომ შენი ბრძანებით მოვკალ ბარტია...

ძმის სახელის გაგონებაზე კამბიზს სახე დაეღრიჯა, ხელის მძლავრი დარტყმით მხდალი სარდალი გვერდზე გადაისროლა და მსხვერპლი ნიშანში ამოიღო. მერე მარჯვენა ხელი საბელს მოსწყვიტა, და ისარი მიზნისაკენ გაფრინდა. იმავ წამს ჭაბუკი უცნაურად შეხტა, ყრუდ ამოიგმინა და მოცელილივით პირქვე დაემხო. მარცხენა ბეჭის ზემოთ წითლად შეღებილი ისრის წვერი გამოჩნდა.

— ვაიმე, შვილო!! — დაიღრიალა გაუბედურებულმა მამამ და კამბიზის წინ ჩაიკეცა გონებამიხდილი.

განგმირული ჭაბუკი კამბიზთან შემოიტანეს, მისი ბრძანებით მკერდი გაუკვეთეს და გული ამოართვეს. ისარს მართლაც შიგ გულში გაევლო. კამბიზის ველურ თვალებში აღტაცების ცეცხლი ელვარებდა. მტარვალი გამარჯვებას ზეიმობდა..

(გაგრძელება იქნება)

გველისჭამია ფრინველები

(ფრინველ-მდივანი და ზეცის ფიგლიარი)

სამხრეთის ცხელ ქვეყნებში აუარებელი შხამიანი გველია. ისინი-მთლად აიკლებდნენ ცხოველთა სამყაროს, რომ მათ წინააღმდეგ, ზღარბთან ერთად, არ იბრძოდნენ გასაოცრად მამაცი ფრინველები— ფრინველ-მდივნები და ზეცის ფიგლიარები[1]. საინტერესოა, რად უწოდეს ფრინველს „ფრინველ-მდივანი"? ამ ფრინველის ქოჩრის ბუმბული ძლიერ მოგვაგონებს ბატის ფრთებს, ძველად კი, როგორც ვიცით, ბატის ფრთებით წერდნენ მწერლები, მდივნები და სხვ. ფრინველ-მდივანი საყურადღებო მტაცებელი ფრთოსანია. მას აქვს წეროსავით მაღალი ფეხები, კოხტად მოყვანილი ტანი, ბასრი ბრჭყალები, ლამაზი ქოჩორა თავი, თეთრი გულმკერდი და დაწინწკლული ბოლო, რომლის სიგრძე 1 მეტრსა და 15 სანტიმეტრს აღწევს.

აფრიკაში, მეტადრე მეწამული ზღვის გასწვრივ, ლაღად დაქრიან ფრინველ-მდივნები საკვების საპოვნელად. თუ ისინი ცუდი მწერლები და მდივნები არიან, სამაგიეროდ მათ ვერავინ შეედრება შხამიან ქვეწარმავალთ ჟლეტაში. ძლიერ საინტერესო სანახავია ფრინველ-მდივნების შებმა საშიშ გოლიათ გველებთან. ისინი ელვის სისწრაფით გამოუდგებიან ხოლმე შეშინებულ ქვეწარმავალს და მანამდის დევნიან, სანამ არ დაეწევიან. მამაცი მტაცებელნი გველს თავზე რისხვასავით ატყდებიან. ბევრი ქვეწარმავალი ადვილად არ თმობს საყვარელ სიცოცხლეს, უეცრად აიმართება შემაძრწუნებელი სისინით და მედგრად უტევს თავდამსხმელს. იმართება ნამდვილი სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილი. ჩვენს მდივანს სრულიად ვერ აკრთობს გველის ფართიფურთი, ის ცალ ფრთას ოსტატურად იმარჯვებს ფარივით, თავად კი უეცარი ნახტომებით სასიკვდილო ჭრილობებს უჩენს თავის მიდამოებში. გველი ვერ უძლებს ფრინველის შეტევებს. მდივანი მსხვერპლს სასწრაფოდ ნაკუწნაკუწად გლეჯს და ნანადირევს სიამოვნებით შეექცევა. ამავე ქვეყანაში ასევე ებრძვის ქვეწარმავლებს ე. წ. ზეცის ფიგლიარი. მსხვილი მკვრივი ტანი, წითელი ფეხები, მცირე ბოლო, ფართე თვალები და კისრამდის აშლილი ქოჩორი აშკარად ამხელენ ზეცის ფიგლიარის ბრძოლის უნარს. გველზე თავდასხმის შემთხვევაში ის საოცარ მალაყებსა და ნახტომებს აკეთებს, რომ თავი დაიცვას შხამიანი ქვეწარმავლის კბენისაგან. მისი ჰაერში სრბოლა იმდენად საგულისხმოა, რომ აბისინიელები მას პირდაპირ ზეცის ფიგლიარს უწოდებენ. ზეცის ფიგლიარები სუსტად მრავლდებიან. ადგილობრივ მკვიდრთ ისინი, ფრინველ-მდივანთან ერთად, დიდ სამსახურს უწევენ გველების განადგურებით. ადგილობრივი მცხოვრებნი ხშირად ცოცხლად იჭერენ ზეცის ფიგლიარებს, ეს ფრინველები კარგად იტანენ ტყვეობას და ადვილად შინაურდებიან.

ვლ. კახიანი.

[1] ფიგლიარი—მანჭია, გრეხია.

აქამიანი ოკეანის უფსკრულში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრს თქვენთაგანს დაუყვინთავს ბანაობის დროს, მაგრამ მალე დაღლილხართ. ასევე ემართება ყოველ ცხოველს, თუ იგი ლაყუჩებით არ სუნთქავს თევზივით. თუმცა წყალში გახსნილია ცოტა რაოდენობით ჟანგბადი, მაგრამ ამით არ შეუძლია ადამიანს ისუნთქოს. ზოგი ფიქრობდა, თითქოს თუ მილს პირით დაიჭერდა ერთი ბოლოთი და მეორე ბოლოს წყალზევით დატოვებდა, ადამიანს შეეძლებოდა წყალში გაძლება. ასეთი ცდის დროს ერთი ექიმი კინაღამ დაიღუპა. ერთი მეტრის სიღრმეზედაც ვერ ძლებს ადამიანი ასეთი მილით, რადგან ორგანიზმი გრძნობს მეტად დიდ წნევას წყლის მიერ. ამიტომ მყვინთავები, რომლებსაც სპეციალური ტანისამოსი აცვიათ, სუნთქავენ ზევიდან მიწოდებული დატენილი ჟანგბადით ისე, რომ წნევა ჟანგბადისა და წყლისა ტოლი იყოს. მაგრამ მარტივი ხერხით მხოლოდ 56 მეტრამდის შეუძლიათ ჩასვლა მყვინთავებს, რადგანაც მთელი წყლის სიღრმის წნევა თხელი რეზინის ტანისამოსზე მოქმედობს, რასაც გრძნობს ადამიანის ტანი.

უკანასკნელი დროის საყვინთი ტანსაცმელია ფოლადის სქელი ფურცლის ფუტლიარი. იგი მართლაც კარგად იცავს მყვინთავს დიდი სიღრმის წნევის გამო გაჭყლეტისაგან. შიგ მყოფი ადამიანი სრულიად ვერ გრძნობს წყლის წნევას, მაგრამ ასეთი ფუტლიარითაც მხოლოდ 200 მეტრამდის შეიძლება ჩასვლა სიღრმეში.



1932 წელს ამერიკელ მეცნიერს უილიამ ბიბს მზად ჰქონდა ინჟინერ ბარტონის მიერ გაკეთებული ყოველმხრივ დახურული სქელკედლიანი ფოლადის ბურთი, რომელსაც მათ ბატისფერა უწოდეს (სიღრმის ბურთი). მათ განზრახული ჰქონდათ უდიდეს სიღრმეზე ჩასულიყვნენ და ეწარმოებინათ მეცნიერული დაკვირვებანი. ცარიელი ბატისფერა რამდენიმეჯერ ჩაუშვეს საცდელად. უკანასკნელი საცდელი ჩაშვების დროს აღმოჩნდა, რომ წყალი დიდი წნევის გამო შესულიყო ბატისფერაში, შიგ მოთავსებული ჰაერი ძალიან შეკუმშულიყო. ბიბმა დაიწყო ხრახნის მობრუნება. ხრახნის მობრუნების შემდეგ საშინლად დაიკივლა დიდი წნევის ქვეშ მყოფმა წყალმა და უდიდესი სისწრაფით გამოვიდა მეტად წვრილი წვეთების სახით. იგი მტვერს უფრო გავდა, ვიდრე წყლის წვეთებს. ხრახნის თვითეულ მობრუნებისას ბატისფერაში წნევა ერთი მეოთხედი ტონით მცირდებოდა. უცებ საკეტი ჭანჭიკი გაუსხლტა ბიბს ხელიდან და, ტყვიასავით, საშინელი ზუზუნით გადაიქროლა გემის ბაქანზე, საიდანაც ხდებოდა ბატისფერის ჩაშვება.

შემთხვევით გადარჩა მეცნიერი. ამ საშინელ სისწრაფეს კედელიც კი ვერ გაუძლებდა, რომ ჭანჭიკს დაჰხვედროდა. იშოვა სითხემ თავისუფალი გზა და ვერტიკალური სვეტით ამოვარდა, აქაფდა და ჩანჩქერის სახე მიიღო. კიდევ რამდენიმეჯერ შეამოწმეს ბატისფერა, რომ დაიმედებით ჩაძირულიყვნენ წყალში, და დაიწყეს შიგ ჩასვლა.

გამოემშვიდობნენ გემის ბაქანზე მდგომთ, მოაწესრიგეს ყველა ხელსაწყო და შემდეგ ბიბი და ბარტონი მოკალათდნენ მეტად არასასიამოვნო ფოლადის ვიწრო ყუთში, რომლის განი 1,5 მეტრს უდრიდა. ბატისფერაში მათ ჰქონდათ ჟანგბადით ბალონი. ამონასუნთქ ნახშირჟანგს ხომ გასავალი არ ჰქონდა, ამიტომ ფსკერზე მოყრილი იყო ისეთი ნივთიერება, რომელიც შთანთქავდა ამ მავნე გაზს. ადგილის უქონლობის გამო, დაკვირვების ჩასაწერი წიგნი და სხვა აუცილებელი ხელსაწყოები კისერზე ჩამოიკიდეს. ბარტონი ფანჯარასთან დაჯდა, რომელიც მეტად სქელი

კვარციდან იყო გაკეთებული. შიგვე იყო საიმედოდ შეკვანძული ტელეფონის მოწყობილობა და პროჟექტორი.

—ჩაუშვით! — გასცა განკარგულება ბიბმა. მძიმე ბურთი ჩასრიალდა ჭაღიდან და წყალზე დაეცა ტყლაშუნით. „ეს კი არასდროს არ დამავიწყდება“— თქვა უსიამოვნო შერხევის დროს ბიბმა. ბარტონმა ჟანგბადის ონკანი გააღო. ბიბმა ტელეფონი მოიმარჯვა.

1 საათი და 32 წუთი გავიდა ჩაშვებიდან, და ბატისფერა უკვე 300 მეტრის სიღრმეზე იყო ჩასული. სინათლე სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა. გველთევზები ამ სიღრმეზე არხეინად დაცურავდნენ უცნაური ცხოველის ირგვლივ. ზღვის ვარსკვლავები დალიცლიცობდნენ ბატისფერასთან. საათი და 41 წუთი იყო გასული. ეს რა საშინელი ხმაურია? გემის სირენამ აღნიშნა 425 მეტრზე, ძველ სარეკორდო სიღრმეზე ჩასვლა.

ბარტონმა გაანათა პროჟექტორი. ორი დიდი გველთევზის გარდა არაფერი ჩანდა. უკვე 450 მეტრზე არიან.

— აი, ამას ჰქვია ჯოჯოხეთური დაბნელება! — უთხრა ბიბმა ბარტონს.

მართლაც წყვდიადით იყო მოცული იქაურობა. შესამჩნევი იყო მხოლოდ მედუზების ფოსფორესცირება—ნათება ამ საშინელ სიბნელეში. მაშასადამე, ამ სიღრმეში არ აღწევენ მზის სხივები. 585 მეტრის სიღრმეზე ბატისფერა ისე შეირხა, რომ ბიბი ფანჯარას მიასკდა და ტუჩი გაიჭრა კბილებით. ბარტონი კარებს მიეჯახა. ეს ყველაზე საშინელი მომენტი იყო მათი ჩაძირვის პროცესში. ორივეს ეგონა ბატისფერა მოსწყდა დაგრეხილ ბაგირსო. 630 მეტრზე, რხევის გამო, აუტანელი შეიქნა ბატისფერაში ყოფნა. 2

საათისა და 8 წუთის შემდეგ შეატყობინეს ზევიდან, რომ 660 მეტრზე იყვნენ ჩასულნი.

4 საათზე და 8 წუთზე ამოვიდნენ ზევით, არასასიამოვნო, მაგრამ მეცნიერულად მეტად საინტერესო მოგზაურობის გამო დაღლილნი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზღვის დონიდან ყველა მთას აჭარბებს სიმაღლით ევერესტი, რომლის სიმაღლე 8,840 მეტრს უდრის. მაგრამ გაცილებით დიდია წყნარი ოკეანის სიღრმე — იგი 9,730 მეტრს უდრის. ზღვისა და ოკეანის ფსკერი ისევე მრავალფეროვანია, სიმაღლის მხრივ, როგორც ხმელეთი ჩრდილო პოლუსიდან გრენლანდიის ნაპირებამდის. მთელი ეს ვეებერთელა რაიონი გამოუკვლეველი იყო ოკეანის სიღრმის მხრივ და ეს ადგილები რუკაზე „თეთრი ლაქებით“ იყო აღნიშნული. პაპანინელებმა გამოიკვლიეს ეს რაიონი, როგორც სხვა მხრივ, ისე ოკეანის სიღრმის მხრივ, და ამით მოშალეს თეთრი ლაქები რუკაზე. ოკეანის სიღრმე პოლუსზე 4,290 მეტრს აღწევს, პოლუსიდან ცოტა სამხრეთით კი—4,374 მეტრს.

ემ. გიოლრგაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სცადეთ

ეე საჩვენებელი თითები ერთიმეორეზე დაწყვეთ. მარცხენა საჩვენებელი თითი ატრიალეთ ზევიდან ქვევით წრის სახით.

ქ. მარჯვენა საჩვენებელი თითი კი ატრიალეთ ქვევიდან ზევით, მარცხენა თითის საწინააღმდეგო მხარეს.

ახლა სცადეთ ორივე თითი ატრიალოთ ამ სახით ერთ და იგივე დროს.

უბრალო გადაწყვეტა



მაგიდაზე დადევით პატარა კუბიკი და მიმართეთ ამხანაგებს წინადადებით: ასწიონ ეს კუბიკი ერთი ასანთის ღერით, იმ პირობით, რომ ასანთის ღერი არ გატეხონ და არც გააპონ.

ამოცანა თითქმის გადაუწყვეტელია, მაგრამ ამის გადაწყვეტა სრულიად უბრალოდ შეიძლება.

ასანთის ღერი უნდა აანთოთ და სწრაფად (სანამ თავი დაიწვებოდეს) დაადოთ ის კუბიკის შუა ნაწილში. როცა ასანთის ღერის თავი დაიწვება—ალი უნდა ჩააქროთ. ასანთის ღერი საკმაოდ მაგრად იქნება მიწებებული კუბიკზე. ამის შემდეგ კუბიკის აწევა ერთი ასანთის ღერით იოლი ხდება.

მოაღწიეთ ჩემამდე



ძალიან უნდა მონადირეს მოკლას ეს კურდღელი. მაგრამ კურდღელი ზის თავისთვის შამბნარში და ყურსაც არ აბარტყუნებს: იცის, რომ მასთან მისვლა არც ისე ადვილია. მოეხმარეთ მონადირეს, მიუთითეთ ამ 15 ბილიკიდან რომელი ბილიკით უფრო სწრაფად მიაღწევს კურდღელთან.